# ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №4

## 2017 წლის 17 იანვარი

## ქ. ზუგდიდი

**,,ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

„ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №62 დადგენილებაში

(www.matsne.gov.ge, 30/12/2016, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.170.016222) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**ა) დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი მუხლის ,,ა“ პუნქტის ,,ა.ბ.“ ქვეპუნქტი**

**ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,ა.ბ) გადასახდელები 19 431.0 ათასი ლარი;“;

**ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის:**

**ბ.ა) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**,,მუხლი 1. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

**განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:**

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსავლები | 21 262,1 | 27 417,7 | 8 865,5 | 18 552,2 | 18 742,2 | 0,0 | 18 742,2 |
| გადასახადები | 1 042,1 | 4 660,0 | 0,0 | 4 660,0 | 4 900,0 | 0,0 | 4 900,0 |
| გრანტები | 17 569,3 | 19 997,7 | 8 865,5 | 11 132,2 | 10 532,2 | 0,0 | 10 532,2 |
| სხვა შემოსავლები | 2 650,7 | 2 760,0 | 0,0 | 2 760,0 | 3 310,0 | 0,0 | 3 310,0 |
| | | | | | | | |
| ხარჯები | 15 085,1 | 16 860,4 | 0,0 | 16 860,4 | 14 423,3 | 19,5 | 14 403,8 |
| შრომის ანაზღაურება | 2 826,2 | 3 069,6 | 0,0 | 3 069,6 | 2 762,6 | 0,0 | 2 762,6 |
| საქონელი და მომსახურება | 1 406,0 | 2 568,6 | 0,0 | 2 568,6 | 2 435,3 | 0,0 | 2 435,3 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| პროცენტი | 433,8 | 333,5 | 0,0 | 333,5 | 264,4 | 0,0 | 264,4 |
| სუბსიდიები | 7 730,4 | 8 736,0 | 0,0 | 8 736,0 | 7 336,0 | 0,0 | 7 336,0 |
| გრანტები | 880,6 | 438,0 | 0,0 | 438,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1 039,4 | 1 394,8 | 0,0 | 1 394,8 | 1 269,0 | 19,5 | 1 249,5 |
| სხვა ხარჯები | 768,7 | 319,9 | 0,0 | 319,9 | 356,0 | 0,0 | 356,0 |
| | | | | | | | |
| საოპერაციო სალდო | 6 177,0 | 10 557,3 | 8 865,5 | 1 691,8 | 4 318,9 | -19,5 | 4 338,4 |
| | | | | | | | |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 5 788,9 | 11 137,4 | 9 327,8 | 1 809,6 | 4 098,8 | 301,5 | 3 797,3 |
| ზრდა | 6 609,3 | 11 542,4 | 9 327,8 | 2 214,6 | 4 398,8 | 301,5 | 4 097,3 |
| კლება | 820,4 | 405,0 | 0,0 | 405,0 | 300,0 | 0,0 | 300,0 |
| მთლიანი სალდო | 388,1 | -580,1 | -462,3 | -117,8 | 220,1 | -321,0 | 541,1 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 1 071,4 | -1 144,0 | -462,3 | -681,7 | -388,8 | -321,0 | -67,8 |
| ზრდა | 1 071,4 | | | | | | |
| ვალუტა და დეპოზიტები | 1 071,4 | | | | | | |
| კლება | 0,0 | 1 144,0 | 462,3 | 681,7 | 388,8 | 321,0 | 67,8 |
| ვალუტა და დეპოზიტები | | 1 144,0 | 462,3 | 681,7 | 388,8 | 321,0 | 67,8 |
| | | | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების ცვლილება | -546,8 | -563,9 | 0,0 | -563,9 | -608,9 | 0,0 | -608,9 |
| ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საშინაო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 546,8 | 563,9 | 0,0 | 563,9 | 608,9 | 0,0 | 608,9 |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საშინაო | 546,8 | 563,9 | 0,0 | 563,9 | 608,9 | 0,0 | 608,9 |
| ბალანსი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | | | | | | | |

“

ზ.ზ) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათშორის | | სულ | მათშორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | 22 082,5 | 27 822,7 | 8 865,5 | 18 957,2 | 19 042,2 | 0,0 | 19 042,2 |
| შემოსავლები | 21 262,1 | 27 417,7 | 8 865,5 | 18 552,2 | 18 742,2 | 0,0 | 18 742,2 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 820,4 | 405,0 | 0,0 | 405,0 | 300,0 | 0,0 | 300,0 |
| ფინანსური აქტივების კლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| გადასახდელები | 22 241,2 | 28 966,7 | 9 327,8 | 19 638,9 | 19 431,0 | 321,0 | 19 110,0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხარჯები | 15 085,1 | 16 860,4 | 0,0 | 16 860,4 | 14 423,3 | 19,5 | 14 403,8 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 6 609,3 | 11 542,4 | 9 327,8 | 2 214,6 | 4 398,8 | 301,5 | 4 097,3 |
| ვალდებულების კლება | 546,8 | 563,9 | 0,0 | 563,9 | 608,9 | 0,0 | 608,9 |
| ნაშთის ცვლილება | -158,7 | -1144,0 | -462,3 | -681,7 | -388,8 | -321,0 | -67,8 |

"

ზ.გ) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**,,მუხლი 7. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 14423,3 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 15 085,1 | 16 860,4 | 0,0 | 16 860,4 | 14 423,3 | 19,5 | 14 403,8 |
| შრომის ანაზღაურება | 2 826,2 | 3 069,6 | 0,0 | 3 069,6 | 2 762,6 | 0,0 | 2 762,6 |
| საქონელი და მომსახურება | 1 406,0 | 2 568,60 | 0,0 | 2 568,6 | 2 435,3 | 0,0 | 2 435,3 |
| პროცენტი | 433,8 | 333,5 | 0,0 | 333,5 | 264,4 | 0,0 | 264,4 |
| სუბსიდიები | 7 730,4 | 8 736,0 | 0,0 | 8 736,0 | 7 336,0 | 0,0 | 7 336,0 |
| გრანტები | 880,6 | 438,0 | 0,0 | 438,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1 039,4 | 1 394,8 | 0,0 | 1 394,8 | 1 269,0 | 19,5 | 1 249,5 |
| სხვა ხარჯები | 768,7 | 319,9 | 0,0 | 319,9 | 356,0 | 0,0 | 356,0 |

"

ზ.დ) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**,,მუხლი 8. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 4049.8 ათ.ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი | 6 609,3 | 11 542,4 | 9 327,8 | 2 214,6 | 4 398,8 | 301,5 | 4 097,3 |
| წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 134,0 | 80,0 | 0,0 | 80,0 | 10,0 | 0,0 | 10,0 |
| თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 13,8 | 6,2 | 0,0 | 6,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 5 440,4 | 10 570,5 | 8 880,2 | 1 690,3 | 3 845,8 | 301,5 | 3 544,3 |
| განათლება | 1 021,1 | 517,9 | 447,6 | 70,3 | 158,0 | 0,0 | 158,0 |
| კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 0,0 | 367,8 | 0,0 | 367,8 | 385,0 | 0,0 | 385,0 |

"

ბ.ე) მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 9. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის კლასიფიკაცია**

| | დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლისგეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 3 937,7 | 4 600,1 | 0,0 | 4 600,1 | 4 057,0 | 0,0 | 4 057,0 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 3 503,9 | 4 266,6 | 0,0 | 4 266,6 | 3 792,6 | 0,0 | 3 792,6 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 3 503,9 | 4 174,6 | 0,0 | 4 174,6 | 3 642,6 | 0,0 | 3 642,6 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0,0 | 92,0 | 0,0 | 92,0 | 150,0 | 0,0 | 150,0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 433,8 | 333,5 | 0,0 | 333,5 | 264,4 | 0,0 | 264,4 |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 702 | თავდაცვა | 189,8 | 226,0 | 0,0 | 226,0 | 180,5 | 0,0 | 180,5 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 956,7 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7032 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 956,7 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 5 837,6 | 11 064,8 | 8 267,0 | 2 797,8 | 4 558,8 | 301,5 | 4 257,3 |
| 7045 | ტრანსპორტი | 990,0 | 956,1 | 537,0 | 419,1 | 455,0 | 0,0 | 455,0 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 990,0 | 956,1 | 537,0 | 419,1 | 455,0 | 0,0 | 455,0 |
| 7047 | ეკონომიკის სხვა დარგები | 0,0 | 0,0 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 70473 | ტურიზმი | 0,0 | 0,0 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 4 847,6 | 10 108,7 | 7 730,0 | 2 378,7 | 4 103,8 | 301,5 | 3 802,3 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 3 447,8 | 3 806,3 | 613,2 | 3 193,1 | 3 215,0 | 0,0 | 3 215,0 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 568,7 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7063 | წყალმომარაგება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7064 | გარე განათება | 1 180,5 | 1 676,1 | 613,2 | 1 062,9 | 1 200,0 | 0,0 | 1 200,0 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 1 698,6 | 2 130,2 | 0,0 | 2 130,2 | 2 015,0 | 0,0 | 2 015,0 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 86,0 | 96,0 | 0,0 | 96,0 | 70,0 | 0,0 | 70,0 |
| 7072 | ამბულატორიული მომსახურება | 27,0 | 26,5 | 0,0 | 26,5 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 59,0 | 69,5 | 0,0 | 69,5 | 70,0 | 0,0 | 70,0 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 3 405,2 | 4 236,9 | 0,0 | 4 236,9 | 2 798,8 | 0,0 | 2 798,8 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 2 130,6 | 2 433,1 | 0,0 | 2 433,1 | 1 491,1 | 0,0 | 1 491,1 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 1 160,4 | 1 663,8 | 0,0 | 1 663,8 | 1 144,7 | 0,0 | 1 144,7 |
| 7083 | ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 14,2 | 20,0 | 0,0 | 20,0 | 20,0 | 0,0 | 20,0 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7086 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში | 100,0 | 120,0 | 0,0 | 120,0 | 143,0 | 0,0 | 143,0 |
| 709 | განათლება | 2 892,7 | 2 927,9 | 447,6 | 2 480,3 | 2 673,0 | 0,0 | 2 673,0 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 1 492,0 | 1 957,0 | 0,0 | 1 957,0 | 2 258,0 | 0,0 | 2 258,0 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 65,2 | 48,7 | 0,0 | 48,7 | 50,0 | 0,0 | 50,0 |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | 65,2 | 48,7 | 0,0 | 48,7 | 50,0 | 0,0 | 50,0 |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 1 335,5 | 922,2 | 447,6 | 474,6 | 365,0 | 0,0 | 365,0 |
| 710 | სოციალური დაცვა | 940,9 | 1 444,8 | 0,0 | 1 444,8 | 1 269,0 | 19,5 | 1 249,5 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 104,4 | 115,0 | 0,0 | 115,0 | 115,0 | 0,0 | 115,0 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 104,4 | 115,0 | 0,0 | 115,0 | 115,0 | 0,0 | 115,0 |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 2,0 | 5,0 | 0,0 | 5,0 | 5,0 | 0,0 | 5,0 |
| 7103 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 33,8 | 38,0 | 0,0 | 38,0 | 35,0 | 0,0 | |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 36,6 | 66,4 | 0,0 | 66,4 | 55,0 | 0,0 | |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 29,1 | 50,0 | 0,0 | 50,0 | 130,0 | 0,0 | |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 735,0 | 1 170,4 | 0,0 | 1 170,4 | 929,0 | 19,5 | |
| | სულ | 21 694,4 | 28 402,8 | 9 327,8 | 19 075,0 | 18 822,1 | 321,0 | |

"

ზ.ვ) მე-10 და მე-11 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**,,მუხლი 10. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები, მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები**

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრიობის და ხარჯვის ეფექტურობის უზრუნველყოფის, ბიუჯეტის სახსრების სახაზინო მართვის ელექტრონული პროგრამების ფუნქციონირების,ფინანსური დისციპლინის განტკიცების თვალსაზრისით მიღწეულმა პოზიტიურმა შედეგებმა, საბიუჯეტო ინვესტირების მზარდი მოცულობით გადიდებამ და სხვა დადებითი საფინანსო-ეკონომიკურმა ფაქტორებმა მნიშვნელოვნად ხელი შეუწყვეს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო განვითარებას, მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის გაფართოებას, სკოლამდელი სწავლა-განათლების სრულყოფას, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდული საქმეების, ტურიზმის განვითარებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის ფინანსურ მხარდაჭერას.

2017 წელს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ფინანსური მთავარი ინდიკატორული მაჩვენებელია მისი სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტი და აქედან გამომდინარე შემდეგი ძირითადი პრიორიტეტები:

ა) მუნიციპალური ინფრასტრუქტურის უპირატესი ტემპით განვითარება და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება;

ბ) მოსახლეობის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვა;

გ) განათლების ფინანსური ხელშეწყობა, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ღონისძიებების ეტაპობრივი დანერგვისათვის ფინანსური საფუძვლების შექმნა; ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მოსახლეობის ყველა ფენისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

1.0 7773,8 ათასი ლარი - ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სწრაფი განვითარება და მისი მყარი ბაზის შექმნა მთავარი პრიორიტეტია. ეს მიმართულება ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურაში დაიკავებს გამორჩეულად დიდ ხვედრით წილს. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ახალი გზების მშენებლობა, ქალაქის მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების, ეზოებისა და სახურავების, ბოტანიკური ბაღის, პარკებისა და სკვერების რეაბილიტაცია, ტროტუარების კეთილმოწყობა, შეიქმნება სატრანსპორტო და საზოგადოებრივი სერვისების (პარკინგი, საგზაო ნიშნები, შუქნიშნები და ა.შ.) ახალი ინფრასტრუქტურა. ამასთან, ქალაქის კომუნალური ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება ქალაქის ქუჩების გარე განათების მთლიანად დასრულება 2017 წლის ბოლოსათვის და არსებული ქსელის ეფექტიანი მოვლა-პატრონობა, სანიაღვრე და წყალარინების სისტემების მოდერნიზაცია და რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მისი შენახვისა და მოვლისთვის საჭირო ხარჯების რაციონალურად დაფინანსება.

ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ფულადი ასიგნებები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

პროგრამის მიზანია ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების და ხიდების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა, მოდერნიზაცია და განვითარება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო კომუნიკაციების რეაბილიტაცია-განვითარება, მშენებლობა და მოვლა-შენახვა. ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება საფეხმავლო ბილიკებისა და ტროტუარების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მუნიციპალური მყარი ინფრასტრუქტურული ბაზის შექმნა.

გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მეტი რეაბილიტირებული გზა და ხიდი.

მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

ბაზრებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

ტურიზმის ობიექტებთან მარტივად დაკავშირება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

რეაბილიტირებული და ახალი გზებისა და ხიდების რაოდენობრივი ზრდის მაჩვენებელი.

**1. 1. 300.0 ათასი ლარი - გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 0101)**

ქვეპროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული და ავარიული მონაკვეთების შეკეთება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის შიდა გზების მშენებლობა, გზების არსებული საფარის მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების სამუშაოები. მათ შორის: გზების მიმდინარე (ორმული) შეკეთება, არაასფალტირებული გზების ხრეშოვანი საფარის რეაბილიტაცია, ავტოსამანქანო გზების პრობლემურ ქანობიან მონაკვეთებზე რკინა-ბეტონის მონოლითური საფარის მოწყობა.

**ასფალტობეტონის საფარის ორმული შეკეთება:** თამარ მეფის ქუჩა; ჯანაშიას ქუჩა; ესებუას ქუჩა; დემეტრე თავდადებულის ქუჩა; ხელაიას ქუჩა; შარტავას ქუჩა; ფაზისის ქუჩა; ქუთაისის ქუჩა; მესხიას ქუჩა; პუშკინის ქუჩა; მოსკოვის ქუჩა; კოსტავას ქუჩა; ბაკურიანის ქუჩა; ნიკოლაძის ქუჩა; დარასელის ქუჩა; ლევან II დადიანის ქუჩა; გრ. ქობალიას ქუჩა; მარჯვენა სანაპიროს ქუჩა; ილ. ჭავჭავაძის ქუჩა; გოროზიას ქუჩა; ყურწუას ქუჩა; გორკის ქუჩა; მაცხოვრის კარის ქუჩა; ცისკარიშვილის ქუჩა; ნინოშვილის ქუჩა; ყაზბეგის ქუჩა; თბილისის ქუჩა; ქირიას ქუჩა; ლაზის ქუჩა; ლერმონტოვის ქუჩა; თავისუფლების ქუჩა; დოჩიას ქუჩა; ზარამიას ქუჩა; 8 მარტის ქუჩა; გორის ქუჩა; კედიას ქუჩა; ზვიად გამსახურდიას ქუჩა; კ. გამსახურდიას ქუჩა; მეუნარგიას ქუჩა; კიკალიშვილის ქუჩა.

**ხრეშოვანი საფარის რეაბილიტაცია**: კავკასიონის ქუჩა; ტექსელის ქუჩა; 25 დეკემბრის ქუჩა; ბუქარესტის ქუჩა; ბაგრატიონის ქუჩა; ჟვანიას ქუჩა; წერეთლის ქუჩის მეორე შესახვევი; ხერგიანის ქუჩა; ლერმონტოვის ქუჩის შესახვევები და ბოლო ნაწილი; ცაბაძის ქუჩის შესახვევი; ლაღიძის ქუჩა; ლაღიძის ქუჩის შესახვევი (დევნილთა ახალი დასახლება); თაბუკაშვილის ქუჩა; სოხუმის ქუჩის მეორე შესახვევის ბოლო მონაკვეთი; ფირცხალავას ქუჩა; კრილოვის ქუჩა; თათარიშვილის ქუჩა; ჩიქობავას ქუჩა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

ნაწილობრივ გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა.

მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

რეაბილიტირებული გზების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

წლის განმავლობაში ასფალტირებული გზების ორმული შეკეთების საერთო ფართობი 5000 კვ.მ.

წლის განმავლობაში არაასფალტირებული გზების მოხრეშვა-მოშანდაკების საერთო სიგრძე 12 კმ.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

**1.2. 3230.0 ათასი ლარი - კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია ( პროგრამული კოდი 03 02)**

**პროგრამის აღწერა**

პროგრამის მიზანია ეფექტიანი კომუნალური სისტემის შექმნა, ერთიანი ენერგოეფექტური გარე განათების სისტემის ჩამოყალიბება, მუნიციპალური სერვისების განვითარება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის რეაბილიტაცია. უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის დასუფთავება, მაწანწალა ცხოველებისაგან ქალაქის დასაცავად გატარდება შესაბამისი ღონისძიებები,

შეკეთდება ქალაქში არსებული შენობა-ნაგებობების ფასადები და სახურავები. ამავე პროგრამით განხორციელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები**:

კეთილმოწყობილი და განათებული ქალაქი;

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

ქალაქის ინფრასტრუქტურული იერსახის გაუმჯობესება;

ქალაქის დასუფთავებული ქუჩები, პარკები და სკვერები.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

განათებული ქუჩების რაოდენობრივი ზრდის მაჩვენებელი;

რეაბილიტირებული შენობა-ნაგებობების რაოდენობრივი ზრდა.

**1.2.1. 1200.0 ათასი ლარი - გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)**

**ქვეპროგრამის აღწერა**

ქვეპროგრამის მიზანია გარე განათების ქსელის შემდგომი გაფართოება და მისი გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა, გარე განათების ქსელის ცენტრალიზებული მართვის სისტემის სრულყოფა. ასევე ზოგიერთ ქუჩაზე შეიცვლება კუსტარულად, ელ. გაყვანილობის ბოძებზე დამონტაჟებული, ამორტიზებული სანათები. გარე განათება მოეწყობა შემდეგ ქუჩებზე: თეატრის ქუჩა; ყურწუას ქუჩა; ვეკუას ქუჩა; ვეკუას ქუჩის შესახვევი და ჩიხი; ვაჩნაძის ქუჩა; ენგურის ქუჩა; კოლხიდის ქუჩა; სვერდლოვსკის ქუჩა; წალვერის ქუჩა; ვარშავას ქუჩა; სანკტ-პეტერბურგის ქუჩა; თეთრი გიორგის ქუჩის შესახვევი; ლეონიძის ქუჩა; მესხიას ქუჩის ჩიხი; ზაქარაიას ქუჩა და ჩიხი; კედიას ქუჩის ჩიხი; რაფავას ქუჩა; ფაზისის ქუჩა; ბუდაპეშტის ქუჩა; ჭავჭავაძის ქუჩის მეორე შესახვევი; დუტუ მეგრელის ქუჩის შესახვევი; ფერდინანდის ქუჩა; დემურიას ქუჩა; გორის ქუჩის ჩიხი; ხუბულავას ქუჩის შესახვევი; წმინდა ნინოს ქუჩის ჩიხი; კლდიაშვილის ქუჩა; ზენდელიანის ქუჩის ჩიხი; ზვიად გამსახურდიას ქუჩის შესახვევი.

გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა - 300,0 ათასი ლარი.

მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა - 900,0 ათასი ლარი.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

მუნიციპალიტეტის გარე განათების ქსელის გამართული მუშაობა.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

განათებული ქუჩების და უბნების რაოდენობის ზრდა.

ელექტროენერგიაზე გაწეული ხარჯების დაზოგვა.

განათებული ქუჩების საერთო სიგრძე 9900 გრძ/მ.

დამონტაჟებული 330 ცალი გარე განათების ბოძი და 375 ცალი ენერგოეფექტური სანათი.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

**1.2.2. 1650.0 ათასი ლარი - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების პროგრამა ( პროგრამული კოდი 03 02 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კომუნალური

მომსახურების, კერძოდ, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ხელმისაწვდომი, ეფექტური და მდგრადი განვითარების პრაქტიკის დამკვიდრება ქ.ზუგდიდის ტერიტორიების ნარჩენებისგან გაწმენდა, დაგვა-დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება და გატანა მოსახლეობიდან, კომერციული სტრუქტურებიდან, სამრეწველო საწარმოებიდან, ტურისტული ობიექტებიდან, სასტუმროებიდან, სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებებიდან. ქ.ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის, ტროტუარების, სკვერების, გაზონების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დასუფთავება და წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელში უტილიზაცია. ნარჩენების სეპარაციისა და გადამუშავების წინაპირობების შექმნა და ამით ქალაქის ეკოლოგიური უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესება.ქალაქ ზუგდიდში, რომლის ფართობი 17 კვადრატული კილომეტრია, არის 450 – ზე მეტი ქუჩა, სადაც ცხოვრობს თითქმის 13 ათასი კომლი. ერთი მაცხოვრებლის მიერ წლიურად საშუალოდ წარმოიქმნება 231 კილოგრამი საყოფაცხოვრებო ნარჩენი და ნაგავი, სულ კი 10 ათას ტონაზე მეტი. დაახლოებით ამდენივე წარმოიქმნება სამრეწველო და კომერციული საქმიანობიდან. 8-9 ათასი ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი და ნაგავი წარმოიშობა ქალაქის დასუფთავებისა და სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაციის შედეგად. სულ წელიწადში ქალაქის ტერიტორიაზე წარმოიშობა 40–44 ათასი მ$^3$ საყოფაცხოვრებო ნარჩენი და ნაგავი, რომლის რაოდენობა პროგრესირებადია ქალაქის ეკონომიკის განვითარების, ურბანიზაციის პროცესების მიმდინარეობისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების კვალობაზე, რომელსაც ემატება მოსახლეობის მოთხოვნა მიიღოს მომსახურების უფრო მაღალი სტანდარტები და მაღალი ხარისხი. აქედან გამომდინარე დღის წესრიგში დგას 2017 – 2020 წლებში მომსახურების ახალ სტანდარტებზე გადასვლა. 2017 – 2020 წლები განიხილება როგორც გარდამავალი პერიოდი ნარჩენების მართვის ისეთი ეტაპის დანერგვისათვის, როგორიცაა სეპარაცია-დახარისხება და მეორადი გადამუშავება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

ქალაქ ზუგდიდში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება; სანიტარიულად და ჰიგიენურად მიმზიდველი გახდება ქალაქის ცენტრალური ნაწილი, ტროტუარები, სკვერები, გაზონები, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, ტურისტული ობიექტების, სასტუმროების, კაფეების, ცენტრალური სუპერმარკეტის, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მიმდებარე ტერიტორიები, ქალაქის შემოსასვლელები და გასასვლელები;

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

ქალაქის მოსახლეობის მომსახურების უზრუნველყოფა 100%-ით;

დასუფთავების კუთხით მომსახურების გაწევა 500-მდე კომერციული სტრუქტურისა და 20-მდე სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის;

წლის განმავლობაში საშუალოდ 50,0 ათასი მ$^3$ საყოფაცხოვრებო ნარჩენისა და ნაგავის გატანა;

ერთ სულ მოსახლეზე მომსახურების დანახარჯის გაზრდა საშუალოდ 4 ლარამდე;

ფინანსური და მატერიალური წინაპირობების შექმნა ნარჩენების სეპარაციისა და მეორადი გადამუშავებისათვის.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ,, ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“.**

**1.2.3 200,0 ათასი ლარი - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ( პროგრამული კოდი 03 02 03)**

**ქვეპროგრამის აღწერა**

ქვეპროგრამის მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წევრთა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების რეაბილიტაციისთვის და განახლებისთვის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისა და მოსახლეობის დახმარების მიზნით, პროგრამა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: შენობის გადახურვის სამუშაოებს (ბრტყელი და ქანობიანი გადახურვა), ეზოების კეთილმოწყობას, ლიფტების, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის, სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთებას, სადარბაზოებში სხვადასხვა სახის კეთილმოწყობითი სამუშაოების განხორციელებას და ა.შ. აღნიშნული ღონისძიებების თანადაფინანსება ბიუჯეტიდან განხორციელდება პროცენტულად, შემდეგი პროპორციით - 90% მერია, 10% ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა, ხოლო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიების დაფიქსირებისათვის (ე.წ. წითელ ხაზებში მოქცევა) გაწეული ხარჯები

100%-ით დაფინანსდება ბიუჯეტიდან. პროგრამით გათვალისწინებულია: ახალი ლიფტის მოწყობა - 1 კორპუსი, წყალგაყვანილობის სისტემის რეაბილიტაცია - 10 კორპუსი, კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია - 9 კორპუსი, სადარბაზოების კეთილმოწყობა - 8 კორპუსი, მიმდებარე ტერიტორიების დაფიქსირება (ე.წ. წითელ ხაზებში მოქცევა) – 20 კორპუსი.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

გაუმჯობესებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებაში არსებული ქონების ინფრასტრუქტურა.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ამხანაგობების ჩართულობით განხორციელებული პროექტების რაოდენობა - 28 პროექტი.

კეთილმოწყობილი და რეაბილიტირებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რაოდენობა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

1.2.4. 165.0 ათასი ლარი - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მათი მოვლა–პატრონობის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სასაფლაოების შემოკავების სამუშაოები, მისასვლელი ბილიკების დასუფთავება, საფლავების აღრიცვხა-ინვენტარიზაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სასაფლაოების გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა; კეთილმოწყობილი სასაფლაო მეურნეობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

5 კეთილმოწყობილი და მოვლილი სასაფლაოს ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,სასაფლაოების მართვის ცენტრი“.

1.2.5. 15.0 ათასი ლარი - არასასოფლო მიწების საკადასტრო ნახაზების და აუდიტორული დასკვნების შედგენის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის აღწერა

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალური ქონების ეფექტურად მართვა და განკარგვა. ქვეპროგრამით განხორციელდება ქალაქის დაგეგმარების და პერსპექტიული განვითარების გეგმის შესაბამისად, მიწის ნაკვეთების (არასასოფლო სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო) შემდგომი გამოყენებისთვის საკადასტრო ნახაზებისა და მათი ელექტრონული ვერსიების მომზადება, შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების შეძენა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საბალანსო, საბაზრო და საიჯარო ღირებულების დადგენის მიზნით აუდიტორული დასკვნების შედგენა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მუნიციპალური ქონების დაცვის, მართვისა და პრივატიზების პროცესის ეფექტური ადმინისტრირება.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების რეგისტრაცია.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

შემოსავალი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვიდან.

80 ერთეული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის მომზადება.

25 აუდიტორული დასკვნის მომზადება.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

**1.3. 1315,9 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

პროგრამის მიზანია ქალაქის იერსახის გაუმჯობესება. პროგრამა ითვალისწინებს ქალაქის არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, გარე განათების ქსელის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის სათანადო სამუშაოების ჩატარებას, ქალაქის პარკების, სკვერების, გაზონების გამწვანების კეთილმოწყობას, მრავალბინიანი სახლების მიმდებარე ეზოების კეთილმოწყობას, სანიაღვრე არხების მიმდინარე მოვლითი და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებას, ავარიული და გამხმარი ხეების გადაბელვას და ახლის დარგვას, შადრევნების გამართული მუშაობის უზრუნველყოფას.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

კეთილმოწყობილი ქალაქი და მისი გალამაზებული იერსახე;

გაუმჯობესებული საცხოვრებელი და ეკოლოგიური გარემო;

ქალაქის გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

კეთილმოწყობილი ტერიტორიების ზრდა ქალაქის ტერიტორიაზე;

შადრევნების გამართული ფუნქციონირება;

გამწვანებული და მოვლილი ტერიტორიების ზრდის მაჩვენებელი;

ჭარბი ნალექებისაგან მოსახლეობის უვნებლობის და რისკების შემცირების მაჩვენებელი.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

**1.3.1. 1013.0 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებათა უზრუნველყოფის პროგრამა ააიპ ,,კეთილმოწყობის ცენტრის" ბაზაზე (პროგრამული კოდი 03 03 02)**

აღნიშნული პროგრამის მიხედვით მუნიციპალიტეტში შექმნილია კეთილმოწყობის ცენტრი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, კერძოდ გარე განათების ქსელის მოვლა–შენახვა, სანიაღვრეების ექსპლოატაცია, ქალაქში არსებული სკვერებისა და პარკების გამწვანება, მწვანე საფარის მოვლა, შადრევნების ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ბოტანიკური ბაღის მოვლითი სამუშაოები, სადღესასწაულო დღეებში ქალაქის მორთვა და სხვა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

საქალაქო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და სრულყოფილი ფუნქციონირება;

ქალაქის ცენტრისა და სხვა დასახლებული უბნების გაუმჯობესებული იერსახე.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

ქალაქის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის, ექსპლუატაციის და კეთილმოწყობისთვის საბიუჯეტო ასიგნებების ზრდის მაჩვენებელი.

მოქალაქეთა შენიშვნების რაოდენობის კლება საქალაქო კომუნალური მეურნეობის გაუმართავი ფუნქციონირების თაობაზე.

მოქალაქეთა შემოსული განცხადებების დაკმაყოფილების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,კეთილმოწყობის ცენტრი".**

**1.3.2. 60,0 ათასი ლარი - პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 04)**

**ქვეპროგრამის აღწერა**

ქვეპროგრამის მიზანია ეკოლოგიური პირობების შექმნა, ქალაქის გარემოსა და ლანდშაფტური იერსახის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი სკვერებისა და პარკების მშენებლობა, არსებულ სკვერებსა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების დარგვა. სკვერებსა და პარკებში ქვაფენილების რეაბილიტაცია, დეკორატიული სანათების შეძენა-მონტაჟი. მიმდინარე წელს ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქ. ზუგდიდში, წერეთლის ქუჩის დასაწყისში მდებარე სკვერის რეაბილიტაციას და 25 დეკემბრისა და ბაგრატიონის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე მცირე სკვერის მოწყობას.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკოლოგიური და ჯანსაღი გარემოს შექმნა. მოვლილი პარკები და სკვერები.

ქალაქის იერსახის გაუმჯობესება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთი ახალი და ერთი განახლებული დასვენების ადგილი (სკვერი).

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

**1.4. 410.7 ათასი ლარი - სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 04)**

**პროგრამის აღწერა**

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის სანიაღვრე სისტემის გაფართოება და გამტარუნარიანობის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დახურული და ღია სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია. პროგრამით გათვალისწინებულია: ღელე ,,ვაჟიას" რეაბილიტაციის მეორე ეტაპი - ზაქარაიას ქუჩის ჩიხიდან ფირცხალავას ქუჩამდე 350 გრძ/მ არხის დაზიანებული კედლებისა და ფსკერის მოწყობა, ვაჟა-ფშაველას ქუჩიდან ჭაბუკიანის ქუჩამდე (სოფ. ახალსოფლამდე) 470 გრძ/მ ღია ტიპის არხის რეაბილიტაცია; ლევან II დადიანის ქუჩა - ლევან II დადიანის ქუჩიდან ნიკოლაძის ქუჩაზე არსებულ არხამდე ღია და დახურული ტიპის 170 გრძ/მ არხის მოწყობა, ასევე ლევან II დადიანის ქუჩაზე პაიჭაძის ქუჩიდან გურამიშვილის ქუჩამდე სანიაღვრე რკინა/ბეტონის ჭებისა და ცხაურების მოწყობა; ლომოურის, გოროზიასა და რიგის ქუჩები - აღნიშნულ ქუჩებზე 140 გრძ/მ დახურული არხის მოწყობა დ-500მმ პოლიეტილენის მილით და 440 გრძ/მ ღია მონოლითური რკინა/ბეტონის არხის მოწყობა. გრიბოედოვის და გორის ქუჩები - გრიბოედოვისა და გორის ქუჩის მონაკვეთზე 300 გრძ/მ ღია არხის და გრიბოედოვის ქუჩის II შესახვევში 100 გრძ/მ დახურული სანიაღვრე არხის მოწყობა; რუსთაველის ქუჩაზე, სანკტ-პეტერბურგიდ ქუჩის შესახვევიდან რკინიგზის სადგურის შესახვევამდე 200 გრძ/მ ღია სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

მოწესრიგებული სანიაღვრე და წყალსაწრეტი სისტემები.

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

სტიქიური მოვლენებისგან (წყალდიდობა) დაცული მოსახლეობის რაოდენობა.

2170 გრძ/მ რეაბილიტირებული სანიაღვრე და წყალსაწრეტი სისტემა.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

1.5. 155,0 ათასი ლარი - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მოიცავს შუქნიშნებისა და საგზაო ნიშნების შეძენა-მონტაჟს, გზების ჰორიზონტალური და ვერტიკალური მონიშვნის სამუშაოებს, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებითი შემცირებისათვის სიჩქარის შემზღუდავი (შემანელებელი) ბარიერების შეძენას, გზაჯვარედინების მოწესრიგებას, სატრანსპორტო საშუალებათა პარკირების მოწესრიგების ღონისძიებების განხორციელებას. პროგრამით გათვალისწინებულია 145 ცალი საგზაო ნიშნის შეძენა-მონტაჟი, 40 ცალი საორიენტაციო პლასტმასის ძელის (ბოძკინტი) შეძენა, 100 გრძ/მ სიჩქარის შემზღუდავი (შემანელებელი) ბარიერების მოწყობა, 33 ცალი ვიდეო-სათვალთვალო კამერის შეძენა, 15 ლოკაციაზე ქვეითთა გადასასვლელების (ე.წ. ,,ზებრა“) და 7 ლოკაციაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსი) გაჩერების ადგილების მონიშვნის სამუშაოები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

ავტოტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობა.

მგზავრთა გაუმჯობესებული და უსაფრთხო გადაადგილება.

საცობების შემცირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ და ინტენსიური სატრანსპორტო მოძრაობის 7 უბანში მოწყობილი სიჩქარის იძულებით შემზღუდავი ბარიერი (ბორცვი).

საგზაო შემთხვევების შემცირებული რაოდენობა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

1.6. 70,0 ათასი ლარი - ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 07)

პროგრამის აღწერა

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მდინარეებზე ნაპირდამცავი კედლებისა და ჯებირების მოწყობა. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გიორგი ბრწყინვალეს ქუჩაზე საავტომობილო გზის გასწვრივ, მდ. სინწას მარცხენა ნაპირზე დაახლოებით 140 გრძ/მ ნაპირსამაგრის მოწყობა გაბიონებითა და დეზებით. ასევე, გიორგი ბრწყინვალეს ქ. №47-ის მიმდებარედ, მდ. სინწას მარჯვენა ნაპირზე 120 გრძ/მ დამცავი საყრდენი კედლის მოწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მოწესრიგებული ნაპირდამცავი სისტემები.

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სტიქიური მოვლენებისგან დაცული მოსახლეობის რაოდენობა.

მოწყობილი ნაპირდამცავი ჯებირების საერთო სიგრძე 260 გრძ/მ.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

1.7. 182,8 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობის ღონისძიებანი (პროგრამული კოდი 03 08)

პროგრამის აღწერა

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების რეაბილიტაცია. აღნიშნულ შენობებში შშმ პირთათვის ადვილად შეღწევადობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ზუგდიდში, კოსტავას ქუჩა №58-ში განთავსებული ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობის შესასვლელის ფოიეს, კიბის უჯრედის და საბავშვო განყოფილების წიგნსაცავი ოთახების რეაბილიტაცია და ქალაქ ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის შენობის არარეაბილიტირებული ნაწილის (უკანა ფლიგელი) რემონტი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

საგანმანათლებლო და კულტურის ობიექტების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

რეაბილიტირებული განათლებისა და კულტურის 2 დაწესებულება.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

**1.8. 150,0 ათასი ლარი - სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის,საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 09)**

პროგრამის აღწერა

პროგრამის მიზანია ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. პროგრამის ფარგლებში იწარმოებს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საპროექტო დოკუმენტაციისა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის შედგენა, მათი ექსპერტიზა. ასევე, მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის გაწევის მიზნით საექსპერტო მომსახურების შესყიდვა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

შეუფერხებლად განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მომზადებული პროექტების რაოდენობის ზრდა;

მომზადებული პროექტების გაუმჯობესებული ხარისხობრივი მაჩვენებელი.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

**1.9. 1915,8 ათასი ლარი - რგფ-დან და მგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება ( პროგრამული კოდი 03 12)**

პროგრამის ფარგლებში იწარმოებს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტში განხორციელებული სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება. ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ბოტანიკური ბაღის სრული რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება.

**2.0. 2673,0 ათასი ლარი - განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

პროგრამა ითვალისწინებს მოსწავლე-ახალგაზრდობის, ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად ნორჩი თაობის აღმზრდელობით-საგანმანათლებლო ღონისძიებების ეტაპობრივად განხორციელებას. სკოლამდელ დაწესებულებათა ფუნქციონირებაში საკუთარი უფლებამოსილებების სრულად განხორციელებას, სკოლისგარეშე დაწესებულებათა თანადაფინანსებას და ზოგადი განათლების ფინანსურ მხარდაჭერას.

**22.1. 2258,0 ათასი ლარი - სკოლამდელი აღზრდის განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 01)**

ქალაქის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 17 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 2010 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ბავშვების კვების ხარჯებს, (კვების ნორმა 2017 წლისათვის გაზრდილია 35 ლარამდე, 2016 წლის მაჩვენებელია 32 ლარი). ეს უზრუნველყოფს სრულფასოვან კვებას და შესაბამისად ჯანსაღი თაობის აღზრდას, აღმზრდელ-მასწავლებელთა ხელფასებს, ბაღების რემონტსა და სხვა მიმდინარე ხარჯებს. გათვალისწინებულია №1, №7 და №11 საბავშვო ბაღების ეზოების შემოღობვა და №8 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა.

ამასთან მიმდინარე პერიოდში არსებული ფინანსური რესურსების გარდა ,,ადრეული, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სტანდარტების დანერგვის და სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, 2017 საბიუჯეტო წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მოძიებული იქნება ახალი ფინანსური წყაროები და ამ მიმართულებით გამოიყოფა დამატებითი ფულადი სახსრები.

გამომდინარე აღნიშნულიდან ამ პროგრამის მიზანია სასკოლო განათლებისათვის ნორჩი აღსაზრდელების მომზადება, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალური აღზრდის ხელშეწყობა, მათი ჰარმონიული განვითარება და სკოლისათვის მომზადება.ბავშვების აზროვნების, ემოციური სამყაროს, ჯანსაღი ფსიქოლოგიის ფორმირება, მათი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღრზდა, შემოქმედებითი შესაძლებლობების და ინტერესების ხელშეწყობა. საბავშვო ბაღებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელების ინტეგრაციის და გარემოსთან ხელმისაწვდომობის ღონისძიებათა გატარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სოციალურ- ემოციური განვითარება

ბავშვი ცნობიერების განვითარებას იწყებს, აქვს დადებითი წარმოდგენა საკუთარ ტავზე, შესწევს უნარი დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, თანატოლებტთან ერთად მიიღოს მონაწილეობა, როგორც ინდივიდუალურ ასევე ჯგუფურ თამაშებში, განვითარებული აქვს თანაგრძნობის უნარი.

ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება

ბავშვი იმდენად არის განვითარებული ფიზიკურად, რომ შეუძლია საკუტარი სხეულის მოძრაობის მართვა, ზუსტი მოძრაობის სესრულება, იცავს უსაფრთხოების მარტივ წესებს, პირად ჰიგიენას და აქვს თავის მოვლის უნარ-ჩვევები.

შემეცნებითი განვითარება

ბავშვს იმდენად აქვს განვითარებული შემეცნებითი უნარები, რომ მზად არის დაეუფლოს წერა-კითხვას, განვითარებული აქვს ყურადრება და მეხსიერება, არის დაკვირვებული, შეუძლია საქმიანობის პროცესში მარტივი დასკვნის გამოტანა და პრობლემის გადაჭრა.

მეტყველებითი განვითარება

ბავშვს იმდენად აქვს განვითარებული სამეტყველო უნარები, რომ შეუძლია გასაგებად ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი და გაიგოს სხვისი ნათქვმი, აქვს მოსმენის კულტურა, გამოხატავს ინტერესს ნაბეჭდი გამოცემების მიმართ, აქვს მათი აღთქმის უნარი. წერილობითი სიმბოლოების მიმართ ამჟღავნებს ინტერესებს და იცის მათი დანიშნულება.

სწავლისადმი მიდგომა

ბავშვი არის ცნობისმოყვარე, აქტიური და ლაღი. სიამოვნებს თამაში და ახალი გამოცდილების მიღება. უვითარდება ინფორმაციის გადამუშავების უნარი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

-ბაღებში ბავშვების კონტინგენტის ზრდის ტენდენცია, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ხარისხობრივი გაუმჯობესების მაჩვენებელი;

-შშმ აღსაზრდელების ინტეგრაციის და ხელმისაწვდომობის გატარებულ ღონისძიებათა ეფექტი.

-ბაღების აღსაზრდელთა მიერ სკოლის დაწყებით საფეხურზე წაყენებული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების აკადემიური მაჩვენებელი.

-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მაჩვენებელი.

-გაუმჯობესებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

გარემონტებული შენობების რაოდენობრივი ზრდა

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი ა(ა)იპ - ,,სკოლამდელ საარმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“**

**2.2 . 50,0 ათასი ლარი - საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02)**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის საჯარო სკოლებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა. ცხოვრების ჯანსაღი წესის მხარდაჭერა, მოზარდებში წიგნის კულტურის დანერგვა, გუნდური თანამშრომლობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. ქალაქის სკოლის მოსწავლეების სასწავლო-შემეცნებითი დონის ამაღლება. მოსწავლე-ახალგაზრდობაში ქალაქის თვალსაჩინო ადამიანების საქმიანობის გაცნობა და კვლევა. შემეცნებითი ინტელექტუალური თამაშების, კონკურსების, ორგანიზების ხელშეწყობა. სკოლის კურსდამთავრებულთა წახალისება. შემოსული მცირე პროექტების დაფინანსება. საზაფხულო ბანაკის მოწყობა საჯარო სკოლების სოციალურად დაუცველი და წარმატებული მოსწავლეებისათვის. მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით წარმატებული პედაგოგების დაჯილდოება. საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე მონაწილეობისათვის ზუგდიდელი მოსწავლეების დაფინანსება. საჯარო სკოლებში სასწავლო წლის დაწყების აღნიშვნა. შშმ მოსწავლეების საოჯახო ნივთებით დასაჩუქრება, რომელთაც ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით არ შეუძლიათ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობა-ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა.ხელს უწყობს სკოლას სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმის ზემოთ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროგრამების განხორციელებაში, იღებს ზომებს სკოლიდან გარიცხული მოსწავლეების განათლების მიღების უზრუნველსაყოფად. კონკრეტულად 2017 წლის განმავლობაში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

თებერვალი, აპრილი, ნოემბერი- განათლების განყოფილების მიერ ინიცირებული ღონისძიება „ესეების კონკურსი“ -საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის.

აპრილი- ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან ერთობლივი ღონისძიება დედამიწის დღესთან დაკავშირებით „ნარჩენებიდან ნაკეთობამდე“.

სექტემბერი, ოქტომბერი, აპრილი-იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ღონისძიებები (სასწავლო წლის დაწყება, გარდაცვალების თარიღი, დედაენის დღე)

მაისი - „ილია ჭავჭავაძე 180“ - იუბილისადმი მიძღვნილი ღნისძიება (კვირეული)

მაისი - ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან ერთობლივი კონკურსი „მე ზუგდიდელი ვარ“

მაისი - ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან ერთობლივი-კრებული „ახალი სახეების“ გამოცემა.

ივნისი - სასწავლო ექსკურსია ქუთაისში.

ივნისი - საჯარო სკოლების მედალოსანი მოსწავლეების დაჯილდოება.

აგვისტო - საზაფხულო ბანაკებში - ურეკი - საჯარო სკოლების მე-9, მე-10, მე-11 წარმატებული მოსწავლეების, დასვენება (5 დღე, ორ ნაკადად).

სექტემბერი-ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან ერთობლივი საყმაწვილო მედიაპროექტი „სარკმელი 2017“ - 500.

ოქტომბერი - დედ-მამით ობოლი მოსწავლეების დაჯილდოება.

იმ მოსწავლეების ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა, რომლებიც სკოლიდან გაირიცხნენ და ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით არ შეუძლიათ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობა.

შშმ პირების უფლებების დაცვის საერთაშორისო დღის ღონისძიება.

მედიაპროექტი „ეტალონი“.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხელშეწყობა და კლასგარეშე კითხვის ორგანიზება. მოსწავლეთა მეტი ჩართულობა შემეცნებითი-საგანმანათლებლო პროცესებში. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით მათი აკადემიური მოსწრების წახალისება და წარჩინებული მოსწავლეების პიროვნული უნარებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარების, დამატებითი განათლების მიცემის ხელშეწყობა.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

სრულყოფილი სასწავლო პროცესი და მოსწავლეთა აკადემიური დონის ამაღლების მაჩვენებელი.

მოსწავლეებში თავისუფალი აზროვნების განვითარება.

შემეცნებით კონკურსებში მოსწავლეთა მეტი ჩართულობა (რაოდენობის ზრდა).

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

**2.3. 325,0 ათასი ლარი - სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამა ააიპ ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის“ ბაზაზე (პროგრამული კოდი 04 03)**

პროგრამის მიზანია სკოლისგარეშე მუშაობის წარმართვა მოზარდებთან და ახალგაზრდებთან, სხვადასხვა სახის სასწავლო, შემეცნებითი, სახელოვნებო, კულტურული წრეების ფუნქციონირება, სასკოლო ოლიმპიადების, ტურების, ფესტივალების მოწყობა და ნიჭიერ მოზარდთა გამოვლენა. ინტელექტუალური, შემეცნებითი, სახელოვნებო, სპორტის და სხვა მიმართულებებით ჩამოყალიბებული სექციებისა და ჯგუფების მუშაობის უზრუნველყოფის თანადაფინანსება. ხელოვნების სხვადასხვა ჟანრების მაღალ დონეზე სწავლება, მოზარდთა ზოგადი განათლებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების ამაღლება, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში მოზარდთა აქტიური ჩართვა; (ბავშვთა თვითმმართველობა ,,ოდაბადე“, სადისკუსიო კლუბი ,,გასაღები“)

ხალხური რეწვა; „ფანტაზია და მარჯვე ხელები“ ჭრა-კერვის წრე.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

მოსწავლეთა მიერ სკოლისგარეშე, საგანმანათლებლო შესაძლებლობების გამოყენება, უნარ-ჩვევების, მისწრაფებების, განსაკუთრებული ნიჭის გამოვლენა და წარმოჩენა. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდობის მიერ მიღწეული წარმატებები სხვადასხვა ოლომპიადებში, ტურებში, კონკურსებსა და შემოქმედებით ღონისძიებებში.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდობის მიერ საგანმანათლებლო კულტურული, შემეცნებითი, ესთეთიკური აღზრდის სფეროში მიღწეული წარმატებების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდა, სხვადასხვა ოლომპიადებში, ტურებში, კონკურსებსა და შემოქმედებით ღონისძიებებში.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი ააიპ - ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სასხლე“**

**2.4. 40,0 ათასი ლარი - განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამულიკოდი 0404)**

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორტიაზე მცხოვრები განსაკუთრებული ნიჭის და უნარების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების გამოვლენა შესაბამის სფეროში სწავლისა და შემოქმედებითი უნარების წარმოჩენისა და რეალიზაციისათვის. მაღალი აკადემიური მოსწრების, ეროვნულ და საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებში, სასკოლო და საუნივერსიტეტო შემოქმედებით, ტექნიკურ, სპორტულ წრეებსა და სექციებში აქტიურად ჩართულ წარმატებული სტუდენტების, საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეების ფინანსური ხელშეწყობა.პროგრამით გათვალისწინებულია მერის სტიპენდია, მერის სტიპენდიანტები

შეიძლება გახდნენ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეები და სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ ქალაქის საჯარო სკოლებში და ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მერის სტიპენდიაზე წარდგენილი მოსწავლე და სტუდენტი უნდა გამოირჩეოდეს მაღალი აკადემიური მოსწრებით, წინა წლების აკადემიური მაჩვენებლის გათვალისწინებით, აქტიურად უნდა იყოს ჩართული რეგიონალურ, რესპუბლიკურ ან სხვა სახის ოლიმპიადებში, კლასგარეშე და სკოლისგარეშე პროექტებში.

2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ქალაქის სკოლების 8 (რვა) წარმატებული მოსწავლის და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის 3 (სამი) სტუდენტის მერის სტიპენდიით დაფინანსება თითოეულზე თვეში 125 ლარი ოდენობით.

აგრეთვე, პროგრამა ითვალისწინებს შემოსული პროექტების თანადაფინანსებას, რისთვისაც გამოყოფილია - 23 500 ლარი. პროგრამა გამიზნულია იმ ახალგაზრდებისა და ბავშვებისათვის, რომლებიც განსაკუთრებულ ნიჭს ავლენენ ხელოვნების, სპორტის, მედიცინის, გამომგონებლობის და სხვა სფეროში. პროგრამაში შეიძლება მოხვდეს 7-დან 27 წლამდე ბავშვები და ახალგაზრდები.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლება. განასაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების შემოქმედებითი საქმიანობის გაზრდა და განვითარება, ნიჭიერ ახალგაზრდათა გამოვლენა და მათი კონტინგენტის ზრდის მაჩვენებელი, ახალგაზრდების მეტი აქტიურობა საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ნიჭიერი, კრეატიული და საინტერესო ახალგაზრდების აღზრდა-ჩამოყალიბება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

ნიჭიერ ახალგაზრდათა მიღწეული შედეგების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდა;

სტიპენდიანტების რაოდენობის ზრდა.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

**3. 0. 2798,8 ათასი ლარი - კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში კულტურული და სპორტული ცხოვრების მკვეთრად გაუმჯობესებას, კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარებას, კულტურის, დასვენების და სპორტული ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციის დაფინანსებას.

**3.1. 1491,1 ათასი ლარი - სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბის ფინანსური მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სპორტსმენთა წვრთნა სხვადასხვა სახეობის მიხედვით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, წარმატებულ სპორტსმენთა მორალური და მატერიალური წახალისება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

სპორტული ღონისძიებების რაოდენობრივი ზრდა, სპორტსმენთა სპორტული შედეგებისა და მიღწევების გაუმჯობესება;

სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

სპორტსმენთა რაოდენობრივი ზრდის და დაოსტატების მაჩვენებელი.

ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულ სპორტსმენთა სპორტული პრიზების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

**3.1.1. 850,0 ათასი ლარი - ქალაქის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ააიპ - ,,სპორტის განვითარების ცენტრის“ ბაზაზე (პროგრამულიკოდი 050101)**

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სპორტის განვითარების ცენტრის“ ძირითადი პრიორიტეტია მაქსიმალურად ხელი შეუწყოს სპორტის ყველა სახეობის, განსაკუთრებით ოლიმპიური სახეობების განვითარებას. მსოფლიო ჩემპიონი ძალოსნობაში, ევროპის ჩემპიონი კრივში და ევროპის პრიზიორი ძიუდოში, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული სპორტსმენები, რომლებიც ჰყავს მუნიციპალიტეტს. ეს კარგი იმპულსია იმისათვის, რომ მეტი ძალისხმევა მოხმარდეს არამარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო არენაზე (ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიური შეჯიბრები) სპორტული შედეგების გაუმჯობესებას, თანამედროვე სპორტული ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზების შექმნას, შეძენილი ცოდნისა და ფიზიკური ვარჯიშების სრულყოფას და ფიზიკური კონდიციების ამაღლებას.

**პროგრამის მიზანია** სპორტის მასობრიობა, სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება, სპორტულ ცხოვრებაში ახალგაზრდების აქტიურად ჩაბმა, მოსწავლე-სპორტსმენთა დაოსტატება, სასპორტო სკოლების, სპორტული ობიექტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. სპორტის საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა საქართველოს შიგნით და ქვეყნის გარეთ. სპორტსმენების წვრთნისა და გადამზადების ხელშეწყონა. პერსპექტიული და ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლენა. წარმატებული სპორტსმენებისთვის მატერიალური წახალისების მიზნით სტიპენდიის დაწესება. თანამედროვე სტანდარტების დონეზე სპორტულ-სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება, სპორტის სხვადასხვა სახეობების ვეტერან სპორტსმენთა მიღწევების პოპულარიზაცია, მოზარდ თაობაში ჯანსაღი წესის დანერგვა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ადგილობრივი სპორტსმენების რაოდენობრივი და თვისობრივი ზრდა, სპორტისადმი მოსახლეობის მეტი ნაწილის ხელმისაწვდომობა, სპორტის სფეროში. მიღწეული წარმატებების პროგრესირება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე გაუმჯობესებული სპორტული შედეგები;

როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე ნაჩვენები განსაკუთრებით მაღალი სპორტული შედეგების რაოდენობრივი ზრდის მაჩვენებელი;

სპორტსმენთა მომზადების, წვრთნის ხარისხის ამაღლების მაჩვენებელი;

გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი ააიპ - ,,სპორტის განვითარების ცენტრი“**

**3.1.2. 80,8 ათასი ლარი - სპორტული ღონისძიებებისა და ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება ( პროგრამული კოდი 050102)**

პროგრამის მიზანია სპორტის მასობრიობა, სპორტულ ცხოვრებაში ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმა, მოსწავლე-სპორტსმენთა დაოსტატება, სასპორტო სკოლების, სპორტული ობიექტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სპორტსმენების წვრთნისა და გადამზადების ხელშეწყობა, სპორტის სხვადასხვა სახეობის და ვეტერან სპორტსმენთა მიღწევების პოპულარიზაცია. სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ.

ახალგაზრდული პროგრამით გათვალისწინებულია სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, ახალგაზრდების საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე მცირე პროექტების თანადაფინანსება, ახალგაზრდების აქტიური დასვენებისა და გართობის ხელშეწყობა,სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისათვის მიმართული ღონისძიებების ჩატარება, ახალგაზრდული აქტივობის ზრდა, მაღალი საზოგადოებრივი ჩართულობა, მოტივაცია განათლებისა და თვითგანათლებისათვის; კვლევები სხვადასხვა მიმართულებით საჭიროებებისა და მომდევნო პერიოდების პრიორიტეტების ეფექტური გამოვლენის ხელშეწყობის მიზნით.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით ვებრესურსის - www.zugdidicv.ge ორგანიზება, შექმნა და ადმინისტრირება.

ახალგაზრდული აქტივობების სოციალიზაცია და რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სასკოლო თვითმმართველობათა ფორუმის, ორგანიზება, ქალაქის საჯარო სკოლების უფროსკლასელებთან კომუნიკაციის ეფექტიანობის ამაღლების ხელშეწყობა, ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება და თანადაფინანსება.

მიმდინარე წელს გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

ონლაინ საინფორმაციო შემეცნებით გასართობი Youtube-არხის ახალგაზრდა მოხალისეების ორგანიზება და მათთვის ტექნიკის შეძენა.

„გაზაფხული შემოსულა ლენ“ მასობრივი სპორტულ-ახალგაზრდული ღონისძიება. (ჭადრაკი, ნარდი, მკლავჭიდი, მაგიდის ჩოგბურთი, პოეზიის საღამო) (მედლები, თასები, სიგელები)

ახალგაზრდული და სპორტული პროექტების დაფინანსება **იანვარი - დეკემბერი** .

„ახალგაზრდული აქტივობები“ ონლაინ საინფორმაციო შემეცნებით-გასართობი არხის ახალგაზრდა მოხალისეების მიერ სახალხო სახალისო გამოკითხვების ჩატარება .

„სისხლის ჩაბარების აქცია“ მოხალისე და მსურველი ახალგაზრდებისთვის ხელშეწყობა .

„დედამიწის დღე“ დასუფთავების აქცია, „მოვლას“ გამოყენებით. (ხელთათმანები და ნაგვის ცელოფნები). „ქალაქური ლეგენდები კოცონის გარშემო“ (სანთლები).

ველომარათონი.

ცეკვის დღე „ქუჩის ცეკვების კონკურსი“ (ფასიანი საჩუქრები , საგზური ბათუმში) - 29 აპრილი

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სასკოლო თვითმმართველობათა ფორუმის ვებგვერდის ორგანიზება

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების კურსდამამთავრებელთა ექსკურსიები.

მარათონი „მსოფლიო რბენის დღე“.

აფხაზეთობა „ვიდეოხიდი“ გალერეაში.

დამოუკიდებლობის დღე ფლეშმობ - კონკურსი.

ტექნოპარკის ფინანსური მხარდაჭერა.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე - ბაღების მხიარული თამაშები.

შუალედური კვლევა, მიმდინარე პერიოდის სიტუაციური ანალიზის მეშვეობით, გაუმჯობესებებისა და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით.

„სახალისო ზაფხული 2017“ ქალაქ ზუგდიდის ახალგაზრდობის გასვლითი ბანაკი.

„დრიფტი 2017“.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე .

„ზუგდიდობა 2017“ სპორტსმენთა მსვლელობა.

მოხუცების საერთაშორისო დღე - „აწმყო შობილი წარსულისაგან“ ახალგაზრდა მოხალისეთა მიერ დოკუმენტური ვიდეომასალის მომზადება და პრეზენტაცია.

სიტუაციური ანალიზი, მომდევნო წლის მეტად ეფექტური ბიუჯეტის შემუშავების მიზნით.

შშმ პირთა საერთაშორისო დღე.

„ჰაკათონი ტექნოპარკში“ ქალაქ ზუგდიდის შემოქმედი ახალგაზრდებისა და პოტენციური დამფინანსებლების შეხვედრა არაოფიციალურ გარემოში.

სხვადასხვა სფეროში წარმატებული ახალგაზრდა ზუგდიდელის დაჯილდოება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

სპორტული მიღწევების სისტემატური გაუმჯობესება;

სპორტსმენთა მომზადების, წვრთნის ხარისხის ამაღლება;

სრულყოფილი ინფრასტრუქტურის შექმნა.

ახალგაზრდულ პოლიტიკასთან დაკავშირებული პრობლემებისა და საჭიროებების მეტი სიზუსტით გამოვლენა და წარმოჩენა; ქალაქის საჯარო სკოლების უფროსკლასელებსა და ქალაქის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სტრუქტურულ ერთეულს შორის ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფა.

ვებრესურსის შექმნა, რომელიც ხელს უწყობს დასაქმების მსურველთა შესახებ ინფორმაციის მიწოდებას პოტენციური დამსაქმებლებისათვის.

ახალგაზრდობის ინიციატივიან ნაწილში თვითდასაქმების მოტივაციის გაზრდა;

ახალგაზრდული პოლიტიკით დასაინტერესებლად ინვესტირებისთვის პოზიტიური, ხელსაყრელი გარემოს უზრუნველყოფა.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

სპორტსმენთა და სპორტულ ცხოვრებაში ჩაბმული ახალგაზრდების რაოდენობრივი მაჩვენებელი;

მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა მონაწილეობით ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობა, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ღონისძიებებში მიღწეული შედეგების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებელი;

ახალი სპორტული ობიექტების რიცხობრივი ზრდა.

განხორციელებული ახალგაზრდული პროექტების, ჩატარებული ახალგაზრდული ღონისძიებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი;

ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტებისა და პროგრამების დაფინანსების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

### 3.1.3. 310,3 ათასი ლარი - მინი სპორტული მოედნების მშენებლობა, რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 050103)

ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა სპორტის, მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის სასპორტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამყარება და სრულყოფა; სპორტული მოედნების მოწყობა ფიზიკურად ძლიერი და ჯანმრთელი მოზარდი თაობის აღსაზრდელად და მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის; ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება წერეთლის ქუჩაზე, №7 საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე და იაგო ზარქუას ქუჩაზე ახალი სტანდარტული მინი სპორტული მოედნების მშენებლობა, ჟვანიას, ბუკიას, მესხიას, ლომოურის და კ. გამსახურდიას ქუჩებზე არსებული მოედნების რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება სოხუმის ქ. №2-ში მდებარე სპორტული დარბაზების რეაბილიტაცია.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

თანამედროვე დონის სპორტული მოედნების ზრდა.

ახალგაზრდა სპორტსმენების ვარჯიშისთვის კომფორტული გარემოს უზრუნველყოფა.

ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია.

განახლებული და რეაბილიტირებული ძიუდოს დარბაზი.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

ახალი და რეაბილიტირებული სპორტული მოედნების გაზრდილი რაოდენობა.

სპორტული მოედნებით მოსარგებლე მოსახლეობის რაოდენობა.

ორი ახალი და ხუთი განახლებული სპორტული მოედანი.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

**3.1.4. 250,0 ათასი ლარი - ბავშვთა ფეხბურთის განვითარების ფინანსური ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 04)**

პროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა ფეხბურთის განვითარების ფინანსურ მხარდაჭერას, რომლის მიზანია საფეხბურთო სპორტისთვის ნორჩი ასაკის ბავშვთა აღზრდა, სპორტული დაოსტატება, პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელების რეზერვის ფორმირება და პროფესიული საფეხბურთო სპორტისთვის საიმედო ცვლის მომზადება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

ნორჩი ნიჭიერი ფეხბურთელების აღზრდა და სპორტული დაოსტატება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

-ბავშვთა საფეხბურთო ასაკობრივ შეჯიბრებებში ნორჩი სპორტსმენების მიერ მიღწეული სპორტული შედეგების დინამიკა;

-ნორჩ ფეხბურთელთა ოსტატობის ხარისხობრივი და რეზერვის ფორმირების რაოდენობრივი მაჩვენებლები.

**3.2. 1164,7 ათასი ლარი - კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

პროგრამა ითვალისწინებს სადღესასწაულო ღონისძიებების დაგეგმვას და ჩატარებას, ადგილობრივი, რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, შემოქმედებითი საღამოების, გამოფენა-გაყიდვების, კონცერტების დაგეგმვას და ორგანიზებას, მოსახლეობაში პოზიტიური განწყობის შექმნას, ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენას და პოპულარიზაციას, წელიწადის ყველა ღირსშესანიშნავი დღისადმი, მიძღვნილი დღესასწაულის აღნიშვნას ღონისძიებებით;

თეატრის, კინოს, კლასიკური და საესტრადო მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხალხური ხელოვნების დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ტრადიციების შენარჩუნებას, დაცვას და პოპულარიზაციას. თავისი კომპეტენციის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბიბლიოთეკო სისტემის განვითარებას;

„მწერალთა ხეივანის“ შექმნას, მწერალთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნას;

ხელოვანების საღამოების მოწყობას, კონკურსების ჩატარებას.

**3.2.1. 194,7 ათასი ლარი - სამხატვრო გალერეის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 050201)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების, ყოველ ისტორიულ ეპოქაში შექმნილი კულტურული და შემოქმედებითი ნიმუშების, ისტორიულ,

არქეოლოგიურ, ეთნოლოგიურ, მემორიალურ, რელიგიურ-ესთეტიკურ, მხატვრულ, მეცნიერულ-ტექნიკურ და სხვა ღირებულებათა შენარჩუნება და პოპულარიზაცია. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების შენარჩუნება და განახლება, შევსება, ბროშურების გამოცემა და პოპულარიზაცია. ქალაქის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარება და მისი პოპულარიზაცია კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. მოსწავლე ახალგაზრდებს შორის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სხვადასხვა კონფერენციების ორგანიზება. ტურისტული და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ მეგზურების, გზამკვლელის, საცნობარო რუქების და ბროშურების გამოცემა.კულტურული მემკვიდრეობისადმი საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის ხელმისაწვდომობის გაზრდა.ზუგდიდელ მხატვართა შემოქმედებითი მუშაობის ხელშეწყობა, სამხატვრო გალერეაში ნახატებისა და ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშების გამოფენებისა და ღონისძიებების მოწყობა.

ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების პროგრამების ჩამონათვალი:

თავისუფალი კომპოზიცია კოლხურ თემატიკაზე.

ძეგლთა დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნა;

იონა მეუნარგიას სახელობის სკვერის მიმდებარედ პანოს მოწყობა;

ვლაქერნობის დღესასწაულის აღნიშვნა;

სამეცნიერო კონფერენცია თემაზე ,,ევროპა ქართულ რეალობაში“;

ტურიზმის საერთაშორისო დღის აღნიშვნა;

ნიშნულების და საინფორმაციო დაფების დამზადება;

ტურიზმის სფეროში სამოქალაქო ინიციატივების და მცირე პროექტების დაფინანსება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

კულტურული მემკვიდრეობით საზოგადოების დაინტერესებული ფენებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდა. მოსახლეობის ინტელექტუალურ-შემეცნებითი და კულტურული დონის ამაღლება ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებით, ტურისტული პროდუქტის წინ წამოწევა და პოპულარიზაცია.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

ახლად გამოვლენილი და აღრიცხული კულტურული მემკვიდრეობის მატერიალურ ძეგლების რაოდენობრივი მაჩვენებელი;

რეაბილიტირებული და აღდგენილი სახლ-მუზეუმები;

ჩატარებულ ღონისძიებათა და მოწყობილი გამოფენების რაოდენობრივ ხარისხობრივი მაჩვენებელი;

ტურიზმის განვითარებისთვის შექმნილი ეფექტური გარემო.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია და ააიპ - ,,სამხატვრო გალერეა“**

**3.2.2. 70,0 ათასი ლარი - სამხატვრო სკოლის დაფინანსება (პროგრამული კოდი 050202)**

პროგრამის მიზანია მოსწავლეთა შემოქმედებითი შესაძლებლობებისა და ინტერესების განვითარება, ეფექტური სასწავლო პროცესის ორგანიზება.

ინტერნეტის გამოყენება სასწავლო პროცესში, კომპოზიციის გაკვეთილების ორგანიზება ცნობილი ოსტატების გამოცდილების გათვალისწინებით.

თანამედროვე მოდერნისტულ - კონცეპტუალური და კლასიკურ-აკადემიური ხელოვნების შედარება და ღირებულებითი ფასეულობების მოსწავლეთათვის სწავლება-გაზიარება;

პლენერის როლის გაძლიერება სასწავლო პროცესის დონის ამაღლებისათვის;

გამოფენა, როგორც ნორჩი მხატვრების დონის შემოწმების ძირითად საშუალება;

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შემო-

ქმედებითი პოტენციალის გამოვლენის ხელშეწყობა (გამოფენები: პერსონალური და ჯგუფური)

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

ახალგაზრდა თაობის სამხატვრო განათლების დონის ამაღლება.

ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და წარმოჩენა;

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

სამხატვრო სკოლისა და მისი მოსწავლეების სხვადასხვა გამოფენებში მონაწილეობის რაოდენობრივი და შედეგობრივი მაჩვენებელი;

ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებითი მიღწევები.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი ქალაქ ზუგდიდის სამხატვრო სკოლა**

**3.2.3. 330,0 ათასი ლარი - სამუსიკო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 050203)**

აღნიშნული პროგრამა ტრადიციულად განხორციელდება ქალაქის მუნიციპალიტეტის №1 სამუსიკო და საგუნდო-სამუსიკო სკოლების ბაზაზე. პროგრამის მიზანია მოზარდებში მუსიკალური უნარ-ჩვევების განვითარება, მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბება, სოლო და კოლექტიური კონცერტების გამართვა, ფესტივალ-კონკურსებში მონაწილეობის მიღება, პედაგოგთა და მოსწავლეებისათვის მასტერკლასების ჩატარება, მუსიკის სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაციისათვის მხატვრულ-მუსიკალური ღონისძიებების მოწყობა,მუსიკალური ნიჭით გამორჩეულ მოზარდთა გამოვლენა და მათი პროფესიული ზრდა, ფოლკლორული, საესტრადო და კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია, მუსიკალური დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება.მუდმივი ზრუნვა სკოლის საკონცერტო და საკონკურსო ცხოვრების მნიშვნელოვანი გააქტიურებისათვის, განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვების აღმოჩენისათვის.პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პერიოდულად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიიდან მოწვეული პროფესორ-მასწავლებელთა მასტერკლასების ჩატარების ორგანიზება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები**:

მოსწავლე-ახალგაზრდობის მუსიკალური განათლების დონის ამაღლება;

ესთეტიკური კულტურისა და გემოვნების ჩამოყალიბება;

მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაცია.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

სხვადასხვა კონკურსსა და ფესტივალში მონაწილეობის რაოდენობრივი და შედეგობრივი მაჩვენებელი;

ახალგაზრდა მუსიკოსთა შემოქმედებით-სახელოვნებო მიღწევები;

მუსიკოს-პედაგოგების კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის მაჩვენებლები.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი ქალაქ ზუგდიდის №1 სამუსიკო და საგუნდო-სამუსიკო სკოლები**

**3.2.4. 330,0 ათასი ლარი - საბიბლიოთეკო დარგის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 050204)**

პროგრამის მიზანია ზუგდიდის მოსახლეობის საინფორმაციო, საბიბლიოთეკო, წიგნით მომსახურების უზრუნველყოფა: სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და სამოქალაქო უფლებების დაცვის

პროცესების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წიგნადი ფონდების შევსება, დაკომპლექტება, აღრიცხვა;

მომსახურების გაუმჯობესების მიზნით საბიბლიოთეკო ინტეგრირებული ავტომატიზებული სისტემის დანერგვა, ბიბლიოთეკის სტრუქტურულ ერთეულებში ელექტრონული კატალოგის ბაზაზე სისტემატური მუშაობა და ელექტრონული კატალოგის მკითხველთა მიერ გამოყენების უზრუნველყოფა.ფართო მკითხველისათვის უფასო ინტერნეტით აუდიო-ვიდეო, ელექტრონული წიგნებით მომსახურეობის ხელმისაწვდომობა, საინფორმაციო და საბიბლიოთეკო სამსახურის ერთმანეთში ორგანულად შერწყმა; მხარეთმცოდნეობით ბიბლიოგრაფიაზე მუშაობა, კერძოდ ზუგდიდის ბიბლიოგრაფიის შესახებ წიგნზე მუშაობა და ბეჭვდური ფორმით გამოცემა;

ადრეული ასაკიდან ბავშვებთან მუშაობა, ბიბლიოთეკებსა და სკოლებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის დამყარება და ბიბლიოთეკების გადაქცევა საინფორმაციო, საგანმანათლებლო ცენტრად;

ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვის, ამ მიზნით უსინათლოთათვის კომპიუტერში ტექსტების გამახმოვანებელი პროგრამა „ბუს“ სწავლება,

კომპიუტერული ცენტრის გახსნა საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალში;

მობილური ბიბლიოთეკის დაფინანსება, ბიბლიოთეკის მომსახურების გარეშე დარჩენილი, ცენტრიდან დაშორებული უბნების, შესაძლებლობა შეზღუდული ადამიანების, ავადმყოფების ბინაზე მომსახურებისათვის;

საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალის გახსნა საბიბლიოთეკო ქსელის გაფართოების მიზნით ენგურ-ქაღალდ კომბინატის დასახლებაში.

კომპიუტერული განათლების დანერგვა როგორც ბიბლიოთეკარებში, ასევე მკითხველებში, კერძოდ, ინტერნეტით ინფორმაციის მოძიების სწავლება;

საპროექტო წინადადებების მომზადება და დონორების მოძიება;

ბიბლიოთეკის პროპაგანდა, ბიზნესმენების დაინტერესება და საზოგადოებისაგან შემოწირულობების მოზიდვა.

აქტიური თანამშრომლობა ადგილობრივ საინფორმაციო სამსახურებთან;

ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სხვადასხვა სახის საბიბლიოთეკო-კულტურული და მხატვრული ღონისძიებების ჩატარება.

ზრუნვა საბიბლიოთეკო კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

ცენტრალური ბიბლიოთეკის როლის ამაღლება, მისი საზოგადოების კულტურული ცხოვრების საინფორმაციო-საგანმანათლებლო ცენტრად გადაქცევისათვის. ადგილზე მოსარგებლეთა და ვირტუალურ მკითხველთა, ასევე ჩატარებულ ღონისძიებებზე დამსწრეთა რაოდენობის სისტემატური ზრდა (ცალკეული პროექტები, თემატური ღონისძიებები, ორგანიზებული კლუბები, დისკუსიები და სხვა); ბიბლიოთეკის მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობით მოზარდებში წიგნისადმი ინტერესის გაღვივება, თავისუფალი დროის მიზანმიმართულად და გონივრულად გამოყენება;

საბიბლიოთეკო ცხოვრების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხში ყველა სოციალური ჯგუფის უფლებებისა და ინტერესების დაცვა;

ინოვაციური პროექტების „მწერლების ხეივანი“ და „ლიტერატურული პრემიის“ დაარსება და განხორციელება ხელს შეუწყობს ბიბლიოთეკის, წიგნის პოპულარიზაციას, მწერლების წახალისებას, მათ დამაგრებას ქალაქ ზუგდიდში სამოღვაწეოდ. „ლიტერატურული თეატრის“ დაარსება კი სტიმულს მისცემს ახალგაზრდების სამეტყველო კულტურის ჩამოყალიბებას, ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის თეატრალიზებული ფორმით ლიტერატურის მიწოდებას და ახალგაზრდების დაინტერესებას სასცენო ხელოვნებით, წიგნიერების დონის ამაღლებით.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბიბლიოთეკო აღრიცხვის ერთეულების სტატისტიკური ანალიზი: ბიბლიოთეკით მოსარგებლე მკითხველთა რიცხოვნობის, წიგნის გაცემის კოეფიციენტის, დამსწრეთა რაოდენობის მაჩვენებელი;

ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობისა და ხარისხის ანალიტიკური მაჩვენებელი.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა.**

**3.2.5. 220,0 ათასი ლარი - კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 05)**

პროგრამის მიზანია კულტურული ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება, ადგილობრივი, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, შემოქმედებითი საღამოების, კონცერტების დაგეგმვა და ორგანიზება მოსახლეობაში პოზიტიური განწყობის შექმნა, ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენა და პოპულარიზაცია. წელიწადის ყველა ღირსშესანიშნავი დღისა და დღესასწაულის აღნიშვნა ღონისძიებებით. თეატრის, კინოს, კლასიკური, საოპერო და სასტრადო მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხელოვნების ტრადიციული დარგების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა, შენარჩუნება, დაცვა და პოპულარიზაცია.

2016 წელს დაიწყო და ყოველწლიურად თითო ახალი ფილა დაემატება „მწერალთა ხეივანს“. 2017 კალენდარული წლის განმავლობაში ორგანიზებული იქნება შემდეგი კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების ჩატარება:

თებერვალი- წიგნის კითხვის საერთაშორისო დღე;

მარტი - დედის და ქალთა დღე;

მარტი - ქართული ჟურნალისტიკის დღე;

მარტი -პირველი ქართული რეფერენდუმისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე;

აპრილი აუტიზმის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღე;

9 აპრილის ტრაგედიისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე;

11 აპრილი ზუგდიდის თეატრის დღე;

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღე;

18 მაისი - მუზეუმების საერთაშორისო დღე;

19 მაისი - ზუგდიდის ბიბლიოთეკის 105 წლის იუბილე;

23 მაისი - აფხაზეთობა;

26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე;

ვეფხისტყაოსნის საჯარო კითხვის დღე;

„ვლაქერნობა“;

2008 წლის აგვისტოს ომის ხსოვნის დღე;

1924 წლის აჯანყების მონაწილეთა ხსოვნის დღე;

„ზუგდიდობა“;

თეატრალური ჯგუფის დაფინანსება;

სოხუმის დაცემის დღე;

ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე;

საქართველოს სამხედრო ძალების ვეტერანთა დღე;

ლიტერატურული საღამოები;

შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე;

საახალწლო და საშობაო ღონისძიებები - ქალაქის მთავარი საშობაო ნაძვის ხის საზეიმო გახსნა, გალა კონცერტი, საბავშვო კონცერტები და გამოფენები. სახალხო მსვლელობა „ალილო“ ;

ადგილობრივ შემოქმედთა ლიტერატურული ჟურნალის /ალმანახის/ გაზეთის/ გამოცემა;

სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზება;

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების მომზადება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები**:

მოსახლეობის კულტურული და შემეცნებითი დონის ამაღლება, დასვენებისა და გართობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, რელიგიურად, კულტურულად და ისტორიულად ჩამოყალიბებული ეროვნული ტრადიციების დაცვა და განმტკიცება. მოსახლეობაში პოზიტიური განწყობის შექმნა, წელიწადის ყველა ღირსშესანიშნავი დღის, დღესასწაულის აღნიშვნა ღონისძიებებით; სხვადასხვა ჟანრის ხელოვნების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ტრადიციების შენარჩუნება, დაცვა, პოპულარიზაცია და აღნიშნული ღონისძიებებით კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის მიზნით საზოგადოებაში მოტივაციის ამაღლება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობრივი და შინაარსობრივი ზრდის მაჩვენებელი;

საზოგადოების ფართო ფენების ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობის დამკვიდრების მაჩვენებელი, საზოგადოების მეტი ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში;

შემოსული მცირე პროექტების თვისობრივი და რაოდენობრივი ზრდა;

ახალგაზრდების აქტიური ჩართვა სხვადასხვა სახის კონკურსებში.

**ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.**

**3.2.6. 20,0ათასი ლარი - ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 02 06)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ შეკვეთილი ინფორმაციების, საკანონმდებლო აქტების გამოქვეყნებისა და დაბეჭვდის სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების ხარჯების ანაზღაურება. ადგილობრივ პრესაში, მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, მასალების გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ყველა სფეროს მიხედვით.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

მოსახლეობის სრულყოფილი ინფორმირებულობა;

მასმედიის მედიატორის როლის გაძლიერება ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის;

მასმედიის საშუალებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფა;

მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კვლევების პოზიტიური შედეგები მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე მოსახლეობის ინფორმირების შესახებ . მოსახლეობის ჩართულობა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებში.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

3.3. 100.0 ათასი ლარით - ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის მშენებლობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 0503)

პროგრამით გათვალისწინებულია ქრისტიანული მართლმადიდებელი მრევლის, სამოქალაქო საზოგადოების და სასულიერო პირების სურვილები ახალი საკათედრო ტაძრის მშენებლობის განხორციელებისათვის ფინანსური ხელშეწყობის თაობაზე, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კანონმდებლობის ფარგლებში ურთიერთ თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ქრისტიანული მართლმადიდებელი სარწმუნოების განმტკიცება, მრევლის საეკლესიო-საგანმანათლებლო დონის ამაღლება, ერის სულიერებისა და ჯანსაღი ტრადიციების დამკვიდრებაში ეკლესიის როლის გაძლიერება, მორწმუნე მრევლის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ქრისტიანული მართლმადიდებელი ახალი ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობის ხელშეწყობის საქმეში სახელმწიფოს ინიციატივის წარმოჩენა, ქრისტიანული რელიგიური ახალი დაწესებულებების რაოდენობრივი ზრდა .

4. 0. 1339.0 ათასი ლარი - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა ( პროგრამული კოდი 0600)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური გარანტიების შექმნა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი 2017 წლისთვის დაგეგმილი რესურსების ფარგლებში გააგრძელებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანდაცვას და სოციალური შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის დაავადებათა რისკების შემცირებას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური ავადმყოფობებისაგან.

4.1. 70,0 ათასი ლარი - საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერისა და ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება; ეპიდსაწიინაღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა, დავადებების პირველადი ღონისძიებები; ლაბორატორიული სინჯის აღება. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელება, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა დამუშავება, ანალიზი, შეფასება, დაზუსტება და ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით. ვაქცინაციათა, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა, წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესის მიხედვით და გადამტანების არსებობის დადგენა სეზონის განმავლობაში. პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები წყალსატევებში და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლა. პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა, მალარიის სკრინინგული კვლევა კერებში და კერის გარშემო; სხვა პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა, დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა მალარიის დიაგნოსტიკა.

სანიტარიული ღონისძიებები და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და

ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილსაიმედო სანიტარულ–ეპიდემიოლოგიური ფონის შექმნა, ეპიდსაწინააღმდეგო, პრევენციული ზომების გატარება, დაავადებათა რისკების მაქსიმალურად შემცირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ინფექციური და გადამდები დაავადებისაგან დაცული მოსახლეობის, ავადობის შემთხვევათა შემცირებული მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“

4.2 1 104.5 ათასი ლარი - მოსახლეობის სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 0603)

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალური სტატუსის მქონე (სარეიტინგო ქულა 65000 ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ წლის განმავლობაში ერთდროულად რამდენიმე პროგრამით.

4.2.1 115,0 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა ( უფასო სასადილოები) (პროგრამული კოდი 060301)

ითვალისწინებს უმწეო მოსახლეობის ყოფითი პირობების გაუმჯობესებას, მორალურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას. ყოველდღიურად (გარდა კვირისა) უმწეო მოქალაქეთა უზრუნველყოფას ცხელი სადილით დღეში ერთხელ, სასადილოს ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული ქალაქ ზუგდიდში რეგისტრირებული პირები, რომლებიც იღებენ ფულად დახმარებას (65 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით), ასევე მარტოხელა დედები, მარტოხელა არამომუშავე პენსიონერები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (მკვეთრად გამოხატული სტატუსის მქონე) და სხვა (250 ბენეფიციარის ფარგლებში). ბენეფიციართა შერჩევა მოხდება წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, სოციალურ საკითხთა შემსწავლელი კომისიის მეშვეობით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფა

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

უფასო სასადილოთი სარგებლობით საჭიროების მქონე მოქალაქეთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მაჩვენებელი

4.2.2 40,0 ათასი ლარი - ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა(პროგრამული კოდი 060302)

